

**Constitution of Georgia**

<p><b>Article 4.2</b></p> <p>The State acknowledges and protects universally recognised human rights and freedoms as eternal and supreme human values. While exercising authority, the people and the State shall be bound by these rights and freedoms as directly applicable law. The Constitution shall not deny other universally recognised human rights and freedoms that are not explicitly referred to herein, but that inherently derive from the principles of the Constitution.</p>	<p><b>მუხლი 4.2</b></p> <p>სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.</p>
<p><b>Article 11.1</b></p> <p>All persons are equal before the law. Any discrimination on the grounds of race, colour, sex, origin, ethnicity, language, religion, political or other views, social affiliation, property or titular status, place of residence, or on any other grounds shall be prohibited.</p>	<p><b>მუხლი 11.1</b></p> <p>ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.</p>
<p><b>Article 17.1</b></p> <p>Freedom of opinion and expression of opinion shall be protected. No one shall be persecuted because of his/her opinion or for expressing his/her opinion.</p>	<p><b>მუხლი 17.1</b></p> <p>აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.</p>
<p><b>Article 21.1</b></p> <p>Everyone, except those enlisted in the defence forces or bodies responsible for state and public security, shall have the right to assemble publicly and unarmed, without prior permission.</p>	<p><b>მუხლი 21.1</b></p> <p>ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება.</p>

**Criminal Code of Georgia**

<p><b>Article 142</b></p> <p>1. Violation of human equality on the grounds of language, sex, age, nationality, origin, birthplace, place of residence, material or rank status, religion or belief, social belonging, profession, marital status, health status, sexual orientation, gender identity and expression, political or other views or of any other signs that have substantially breached human rights, -</p> <p>shall be punished by a fine or corrective labour for up to a year and/or with imprisonment for up to two years.</p> <p>2. The same act:</p> <p>a) committed by abusing the official position; b) causing grave consequences,-</p> <p>shall be punished by a fine or imprisonment for up to three years, deprivation of the right to hold an official position or to carry out a particular activity for up to three years or without this.</p> <p>Note: For the act provided by this article, a legal person shall be punished by liquidation or deprivation of the right to carry out a particular activity and/or with a fine.</p>	<p><b>მუხლი 142</b></p> <p>1. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება, –</p> <p>ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.</p> <p>2. იგივე ქმედება:</p> <p>ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, –</p> <p>ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.</p> <p>შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან/და ჯარიმით.</p>
<p><b>Article 143</b></p> <p>1. Unlawful imprisonment,-</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of t</p>	<p><b>მუხლი 143</b></p> <p>1. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, –</p>

<p>wo to four years, with or without limiting the rights related to arms.</p> <p>2. The same act committed:</p> <p>a) by taking the victim abroad; b) against official foreign representatives or persons subject to international legal protection; c) for the purpose of concealing or facilitating any other crime, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of four to seven years, with or without limiting the rights related to arms.</p> <p>3. The same act committed:</p> <p>a) with a prior agreement by a group; b) repeatedly; c) against two or more persons; d) knowingly by the offender against a pregnant woman, a minor or a helpless person; e) using violence or threat of violence dangerous for life or health, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of seven to ten years, with or without limiting the rights related to arms.</p> <p>4. The act provided for by paragraphs 1, 2 or 3 of this article:</p> <p>a) committed by an organised group; b) causing the death of the victim or resulting in other grave consequences, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of eight to twelve years, with or without limiting the rights related to arms.</p>	<p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი:</p> <p>ა) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; ბ) უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებულის მიმართ; გ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, –</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.</p> <p>3. იგივე ქმედება, ჩადენილი:</p> <p>ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) არაერთგზის; გ) ორი ან მეტი პირის მიმართ; დ) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ; ე) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, –</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.</p> <p>4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:</p> <p>ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, –</p>
---	---

	<p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.</p>
<p><b>Article 145</b></p> <p>Provocation of crime, i.e. inducing another person to commit a crime for the purpose of his/her criminal prosecution, -</p> <p>shall be punished by home arrest for the term of 6 months to 2 years or by imprisonment for a term of one to three years.</p>	<p><b>მუხლი 145</b></p> <p>დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით, -</p> <p>ისჯება შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.</p>
<p><b>Article 147</b></p> <p>1. Intentional illegal detention,</p> <p>- shall be punished by imprisonment for a term of five to eight years, and/or with or without deprivation of the right to hold an official position or to carry out a particular activity for up to three years.</p> <p>2. Intentional illegal arrest, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of seven to ten years.</p> <p>3. The act provided for by paragraph 1 or 2 of this article, which has resulted into grave consequences, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of nine to twelve years</p>	<p><b>მუხლი 147</b></p> <p>1. განზრახ უკანონო დაკავება, -</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.</p> <p>2. განზრახ უკანონო დაპატიმრება, -</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.</p> <p>3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, -</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.</p>
<p><b>Article 151</b></p> <p>1. A threat of death or bodily injury and/or destruction of property, when the person threatened has reasonable fear that the threat will be carried, -</p> <p>shall be punished by a fine or community service from</p>	<p><b>მუხლი 151</b></p> <p>1. სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, -</p>

<p>120 to 180 hours or corrective labour for up to a year or home arrest for the term of 6 months to 2 years and/or imprisonment for the term of up to 1 year, with or without limiting the rights related to arms.</p> <p>2. 3. The same act committed:</p> <p>a) by a group; b) repeatedly; c) knowingly by the offender against a pregnant woman, a minor or a helpless person, -</p> <p>shall be punished by a fine or community service from 170 to 200 hours or with corrective labour for up to 2 years and/or with imprisonment for the term of up to 3 years, with or without limiting the rights related to arms.</p>	<p>ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი:</p> <p>ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან არასრულწლოვნის მიმართ, -</p> <p>ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.</p>
<p><b>Article 156</b></p> <p>1. Persecution of persons because of their speech, opinion, conscience, confession, faith or creed, and/or political, social, professional, religious or scientific activities, -</p> <p>shall be punished by a fine, or home arrest for the term of 6 months to 1 year and/or with imprisonment for the term of up to 2 years.</p> <p>2. The same act:</p> <p>a) committed using violence or threat of violence; b) by abusing the official position; c) which has resulted in considerable damage, -</p>	<p><b>მუხლი 156</b></p> <p>1. ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, – ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.</p> <p>2. იგივე ქმედება:</p> <p>ა) ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით;</p>

<p>shall be punished by a fine or home arrest for the term of 1 year to 2 years, and/or with imprisonment for up to three years, with or without deprivation of the right to hold an official position or to carry out a particular activity for up to three years.</p>	<p>ბ) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;  გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –    ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.</p>
<p><b>Article 161</b></p> <p>1. Unlawful interference with the exercise of the right to hold or participate in an assembly or demonstration using violence, threat of violence or official position, -</p> <p>shall be punished by a fine or corrective labour for up to a year, and/or with imprisonment for up to two years, with deprivation of the right to hold an official position or to carry out a particular activity for up to three years.</p> <p>2.  The same act committed using arms or causing mass disorders, death or other grave consequences, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of two to five years, with deprivation of the right to hold an official position or to carry out a particular activity for up to three years.</p>	<p><b>მუხლი 161</b></p> <p>1. შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –</p> <p>ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ან რამაც მასობრივი არეულობა, სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია, –</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.</p>
<p><b>Article 223</b></p> <p>1. Creation or management of an illegal formation (militia, units, squads or other groups), -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of six to twelve years.</p>	<p><b>მუხლი 223</b></p> <p>1. უკანონო ფორმირების (ლაშქრის, გაერთიანების, რაზმის ან სხვა ჯგუფის) შექმნა ან ხელმძღვანელობა, –</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თორმეტ წლამდე.</p>

<p>2. Joining and/participation in illegal formations, participation in the trainings arranged by such formations, recruiting persons to join, participate in or otherwise support the activities of such formations, their training or collection of persons, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of three to seven years.</p> <p>3. Dissemination or use of information materials and/or symbols associated with joining and/or participation in illegal formations if such action poses clear, direct and substantial risk of the occurrence of unlawful consequences, -</p> <p>shall be punished by imprisonment for up to three years.</p> <p>4. Funding of illegal formations, i.e. collection or supply of financial resources or other assets knowingly for their use or for their possible use for the activities of illegal formations, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of five to eight years.</p> <p>5. The act provided for by paragraphs 1, 2, 3 or 4 of this article committed by abusing the official position, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of eight to fifteen years.</p> <p>6. Public incitement to the crime provided for by paragraphs 1,2,3 or 4 of this article if this poses clear, direct and substantial risk of the occurrence of illegal consequences, -</p> <p>shall be punished by imprisonment for up to two years.</p> <p>Note:</p> <p>1. For the purposes of this article, “illegal formation” (militia, unit, squad or other group) shall mean any formation (except the ones subordinated to a state authority), equipped with firearms, ammunition, explosive and highly</p>	<p>2. უკანონო ფორმირებაში გაწევრება ან/და მონაწილეობა, ასეთი ფორმირების მიერ ორგანიზებული წვრთნის გავლა, ამგვარ ფორმირებაში გაწევრების, მონაწილეობის ან მისი საქმიანობის სხვაგვარი ხელშეწყობის მიზნით პირის გადაბირება, გაწვრთნა ან პირთა შეგროვება, –</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.</p> <p>3. უკანონო ფორმირებაში გაწევრებასთან ან/და მონაწილეობასთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალის ან/და სიმბოლიკის გავრცელება ან გამოყენება, თუ ეს ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, –</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.</p> <p>4. უკანონო ფორმირების დაფინანსება, ესე იგი ფინანსური სახსრების ან სხვა ქონების შეგროვება ან მიწოდება იმის წინასწარი შეცნობით, რომ ისინი/იგი გამოყენებული იქნება ან შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უკანონო ფორმირების საქმიანობისათვის, –</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.</p> <p>5. ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტი წლამდე.</p> <p>6. ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისაკენ საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის</p>
---	---

<p>flammable substances, explosive equipment, tear gas, radioactive substances, nerve agents, poisonous substances, melee weapons or such devices or objects that may be used to harm or destroy living or other objects, provided that such formation has been set up for criminal purposes.</p> <p>2. A person who voluntarily ceases the act provided for by this article and hands in the property specified in in paragraph 1 of this note (in case of possession) shall be discharged from criminal liability, unless there are any other elements of crime in his/her actions.</p> <p>3. For the act provided for by this article, a legal person shall be punished by liquidation or with deprivation of the right to carry out a particular activity and with a fine.</p>	<p>კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, –</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.</p> <p>შენიშვნა:</p> <p>1. ამ მუხლის მიზნებისათვის „უკანონო ფორმირება“ (ლაშქარი, გაერთიანება, რაზმი ან სხვა ჯგუფი) გულისხმობს ნებისმიერ ფორმირებას (გარდა სახელმწიფო ორგანოს გამგებლობაში არსებული ფორმირებისა), რომელიც შეიარაღებულია ცეცხლსასროლი იარაღით, საბრძოლო მასალით, ფეთქებადი ან ადვილალეებადი ნივთიერებით, ასაფეთქებელი მოწყობილობით, ცრემლმდენი, რადიოაქტიური, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან მომწამვლელი ნივთიერებით, ცივი იარაღით ანდა ისეთი მოწყობილობით ან საგნით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ანდა გასანადგურებლად, თუ ასეთი ფორმირება დანაშაულებრივი მიზნით არის შექმნილი.</p> <p>2. ის, ვინც ნებაყოფლობით შეწყვეტა ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება და ჩააბარა ამ შენიშვნის პირველ ნაწილში აღნიშნული საგანი (მისი ფლობის შემთხვევაში), თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.</p> <p>3. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.</p>
<p><b>Article 239</b></p> <p>1.Hooliganism, i.e. an act that grossly violates public order and demonstrates clear disrespect toward</p>	<p><b>მუხლი 239</b></p> <p>1. ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და</p>



<p>ds the public, using violence or threat of violence, -</p> <p>shall be punished by a fine or community service from 120 to 180 hours or with corrective labour for up to a year or with home arrest for the term of 6 months to 2 years and/or with imprisonment for the term of up to 1 year.</p> <p>2. The same act committed:</p> <p>a) by a group with the preliminary agreement; b) against a representative of public authorities or a person preventing hooliganism; c) by a person convicted of hooliganism, -</p> <p>shall be punished by a fine or community service from 180 to 200 hours or with corrective labour from one to two years or with imprisonment for a term of two to five years.</p> <p>3. The act provided for by paragraphs 1 or 2 of this article committed by using firearms or any other object as a weapon, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of four to seven years.</p>	<p>გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, -</p> <p>ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი:</p> <p>ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) ხელისუფლების წარმომადგენლის ან ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირის მიმართ; გ) ხულიგნობისათვის მსჯავრდებულის მიერ, -</p> <p>ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.</p> <p>3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით, -</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.</p>
<p><b>Article 239<sup>1</sup></b></p> <p>1. Public incitement to acts of violence orally, in writing or using other means of expression in order to cause a discord between certain groups based on their racial, religious, national, provincial, ethnic, social, political, linguistic and/or other characteristics, provided that this poses clear, direct and substantial risk of acts of violence, -</p>	<p><b>მუხლი 239<sup>1</sup></b></p> <p>1. რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს</p>

<p>shall be punished by a fine or community service from 200 to 400 hours.</p> <p>2. The same act causing grave bodily injury, death or other grave consequences, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of two to five years.</p> <p>Note: For the act provided for by this article, a legal person shall be punished by liquidation or with deprivation of the right to carry out a particular activity and with a fine.</p>	<p>ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, -</p> <p>ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე.</p> <p>2. იგივე ქმედება, რასაც მოჰყვება ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, -</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.</p> <p>შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.</p>
<p><b>Article 252</b></p> <p>1. Setting up or management of such religious, political or public associations the activities of which involve violence against human beings, -</p> <p>shall be punished by a fine or imprisonment for up to three years.</p> <p>2. Participation in an association defined in paragraph 1 of this article, -</p> <p>shall be punished by a fine or imprisonment for up to two years.</p>	<p><b>მუხლი 252</b></p> <p>1. ისეთი რელიგიური, პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა, რომლის საქმიანობას თან ერთვის ძალადობა ადამიანის მიმართ, ანდა ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელობა, -</p> <p>ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გაერთიანებაში მონაწილეობა, -</p> <p>ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.</p>
<p><b>Article 353</b></p> <p>1. Resistance against a police officer, an official of a special penitentiary service or other representative of authorities which aims to interfere with the protection of public order, termination or modification of the activities of the</p>	<p><b>მუხლი 353</b></p> <p>1. პოლიციის მუშაკის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი</p>

<p>above person, or coercing him/her to commit a clearly unlawful act using violence or threat of violence, -</p> <p>shall be punished by a fine or home arrest for the term of 6 months to 2 years, and/or with imprisonment for a term of two to five years.</p> <p>2. The same act committed by a group –</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of four to seven years.</p>	<p>წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე აშკარად უკანონო ქმედებისთვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, –</p> <p>ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.</p> <p>2. იგივე ქმედება, ჩადენილი ჯგუფის მიერ, –</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.</p>
<p><b>Article 353<sup>1</sup></b></p> <p>1. An assault on police officers, officials of a special penitentiary service or other representatives of authorities, and/or on their official or residential buildings, or on their vehicles, and/or family members in connection with their official duties, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of four to seven years.</p> <p>2. Encroachment upon the health of police officers, officials of a special penitentiary service or other representatives of authorities or their family members in connection with their official duties, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of seven to eleven years.</p> <p>3. Deprivation of life of police officers, officials of a special penitentiary service or other representatives of authorities or their family members in connection with their official duties, -</p> <p>shall be punished by imprisonment for a term of sixteen to twenty years or with life imprisonment.</p>	<p><b>მუხლი 353<sup>1</sup></b></p> <p>1. პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე, ანდა მის სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე, ან მის სატრანსპორტო საშუალებაზე, ანდა მისი ოჯახის წევრზე თავდასხმა პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, –</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.</p> <p>2. პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის, ანდა მისი ოჯახის წევრის ჯანმრთელობის ხელყოფა პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, –</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე.</p>

	<p>3. პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის, ანდა მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის მოსპობა პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, –</p> <p>ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.</p>
--	--

**Law of Georgia on the Elimination of All Forms of Discrimination**

**Article 1**

This law aims to eliminate all forms of discrimination and to ensure equal enjoyment of the rights set forth by the legislation of Georgia for all natural and legal persons regardless of race, color, language, sex, age, nationality, origin, place of birth, residence, property or title, religion or faith, national, ethnic or social belonging, profession, marital status, health condition, disability, sexual orientation, gender identity and expression, political or other beliefs or other basis.

**მუხლი 1**

ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

**Article 2.1**

Any form of discrimination shall be prohibited in Georgia.

**მუხლი 2.1**

საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.

<p><b>Article 2.2</b></p> <p>Direct discrimination shall be any treatment or creation of any conditions putting a person in a disadvantaged position in the enjoyment of the rights determined by the legislation of Georgia based on any of the grounds listed in Article 1 of the present law, as compared to other persons in similar conditions, or putting in equal condition those persons, who are in essentially unequal conditions, unless such treatment serves a legitimate purpose, including protection of public order and morale, has objective and reasonable justification and is necessary in a democratic society and where the measures applied are proportional for the achievement of such purpose.</p>	<p><b>მუხლი 2.2</b></p> <p>პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.</p>
<p><b>Article 2.5</b></p> <p>Any act aimed at coercing, instigating or encouraging and/or instructing a person to commit discrimination against a third party for the purposes of the present article shall be prohibited.</p>	<p><b>მუხლი 2.5</b></p> <p>აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას ანდა მისთვის დავალების მიცემას მესამე პირის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის განსახორციელებლად.</p>